

საქართველო




გაზეთი გამოდის ოთხ შაბათს და პარასკევს

13-15 ნოემბერი

1996 წელი

პრეზიდენტი დიფერენცირების მომხრეა ნოემბერში:



ნულისადმი მიდგომა არაერთგვაროვანია. ზოგი მომხრეა, ზოგიც პირიქით. თუმცა, ალბათ, ორივე მხარეს აქვს მყარი არგუმენტები.

საქართველოს პრეზიდენტი მხარს უჭერს გადასახადების დიფერენცირების საკითხს და მიიჩნევს, რომ მოქმედ საბაჟო გადასახადებს მოწესრიგება ესაჭიროება, რაც მეზობელი სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან ურთიერთობით უნდა დარეგულირდეს. დიფერენცირებული საბაჟო რეჟიმის მოქმედებისას ყველაფერი სახელმწიფოს როლზეა დამოკიდებული. ამასთანავე გასარკვევია ისიც, თუ როგორ ესმის თითოეულ ჩვენგანს სახელმწიფოს ფუნქცია. ზემოთხსენებული საბაჟო რეჟიმის განხორციელება შესაძლებელია მაშინ, როცა ეკონომიკურ პროცესებს სახელმწიფო არეგულირებს.

არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც "დღეს, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის ყველა დარგს ესაჭიროება გარკვეული სტიმული. პროტექციონიზმი სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად გასატარებელია, მაგრამ ამ პროცესს საბაჟო გადასახადების დიფერენცირებით თუ დაეწყო, მაშინ შეჩერება შეუძლებელი გახდება".

როგორც ბევრი მიიჩნევს, არსებული სიტუაციების გათვალისწინებით მიზანშეწონილია გარკვეული პროტექციონისტური ბარიერების შექმნა კვების მრეწველობის იმ იმპორტულ პროდუქტებზე, რომელთა მსოფლიო ფასები, ქვეყნის შიდა ბაზრის ფასზე დაბალია. ასეთ პროდუქტებზე უნდა დაწესდეს იმპორტის გადასახადი,

რომელიც ფასთასხვობის ტოლფასი იქნება. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მოხდება საბაჟო გადასახადის არა დეტალური დიფერენციაცია, არამედ სულ ცოტა ორი განაკვეთი იმოქმედებს. ერთი - მაღალი, კვების მრეწველობის პროდუქტებზე და მეორე, უკვე არსებული განაკვეთი - დანარჩენ საქონელზე. თუმცა შესაძლებელია მესამე - დაბალი განაკვეთის დაწესებაც, რომელიც მედიკამენტებზე გავრცელდება.

ამჟამად არც საგადასახადო კოდექსის პროექტი და არც "საქართველოს ბიუჯეტის შესახებ" კანონი არ ითვალისწინებს რეექსპორტის გადასახადებისაგან მთლიან განთავისუფლებას. 1996 წლის 1 მარტიდან ამავე კანონით, მართალია, გათვალისწინებულია ექსპორტისათვის გადახდილი აქციზისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნება, მაგრამ დაგვიანებები, რომელიც ამგვარ პროცედურას მოყვება, ბუნებრივია, მას არაეფექტურს ხდის. საბაჟო საწყოების სისტემის გამოყენება კი, ვფიქრობთ, რეექსპორტის განხორციელებას მნიშვნელოვნად გააადვილებს.


აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბაჟო საწყოების სისტემის ძირითად უპირატესობად მიჩნეულია ყოველგვარი გადასახადების და მოსაკრებლების გადახდის გარეშე საქონლის დროებითი შენახვის საშუალება და ასევე გადასახადების და მოსაკრებლების გადახდის გადაადგება მანამდე, სანამ არ გაირკვევა საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილი.

ნათია კუხიანიძე




მოსახლეობის მიერ ჩაბარებული ყურძნის სვედრითი წილი კალზე მაღალია

88.4



უცხოეთის გასწორება

88.5



ზომჯპრ თქვა სჯომს

88.8

ნოემბერში:

ახალი ბიუჯეტი რომ დგება, შესაბამისი სტრუქტურები ყოველთვის ცდილობენ დაგეგმონ ეკონომიკური ზრდა, რისთვისაც აუცილებელ პირობად რჩება გასულ წელს მიღწეული ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინება.

სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა ძირითადად გულისხმობს შემოსავლების გაზრდას იმ დონეზე, რომელიც ხარჯების დასაფარად იქნება საკმარისი. კაპიტალური ხარჯების დაფინანსება კი უმეტესად საგარეო რესურსების გამოყენებით მიიღწევა. ასე რომ, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას მართებული საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის გატარება უნდა უძღოდეს.

დღეს, საგადასახადო სისტემის მართვის სამართლებრივ ნორმებს "საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" და "საგადასახადო სამ-

სახურის შესახებ" მიღებული კანონები არეგულირებენ. სწორედ აღნიშნულ კანონებში უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული ის საძირითებრივი მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ხდება საგადასახადო სისტემის მიერ დასაბეგრი ობიექტის გამოვლენა და გადასახადისაგან თავის არიდების ტენდენციების დაძლევა. ამ მიმართულებით აუცილებელია სანქციების რაციონალური სტრუქტურების განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვან სრულყოფას მოითხოვს სანქციათა არსებული სისტემა.

საგადასახადო შემოსავლების ზრდა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება საბაჟო საზღვარზე გადასახადების ამოღების გაუმჯობესების გარეშე. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს საბაჟო გადასახადის შეცვლამ, რომელიც ძირითადად დიფერენცირებას გულისხმობს. აღნიშ-

(ეკონომიკური მიმოხილვა 4-10 ნოემბერი)

მოსახლეობის მიერ ჩაბარებული ყურძნის სვედრითი წილი კალზე მაღალია

"სოცეკონომინფორმის" მიერ შეჯამებულია 1996 წლის 9 თვეში ქვეყნის პურპროდუქტების წარმოებაში ჩამოყალიბებული ტენდენციები.

აღნიშნულ პერიოდში პურსაცხობების პროდუქციის მოცულობამ 65,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის 99,2%-ს შეადგენს. ამ დარგის პროდუქციის მოცულობაში ყოფილი "პურპროდუქტების კორპორაციის" წილი 68,9%-ია, ცეკავშირის სისტემისა - 14,4%, ხოლო კერძო სექტორის - 16,7%. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის შესაბამისი პერიოდში კერძო სექტორის წილი 6%-ს არ აღემატებოდა.

ყოფილი "პურპროდუქტების კორპორაციის" საწარმოთა წარმოების მოცულობა შარშანდელი დონის 85,2%-ია, ცეკავშირის სისტემის - 104,8%, ხოლო კერძო სექტორის

პურის საცხობების პროდუქციის მოცულობა 3-ჯერ გაიზარდა.

"სოცეკონომინფორმის" განცხადებით შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კერძო სექტორში შექმნილი პროდუქციის მოცულობა აღრიცხვაში ძირითადად მოცულია. კერძო სექტორი აღრიცხვება ქალაქებში თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ფოთი, ზუგდიდი. რაიონებში ზესტაფონი, ხონი, ჩხორიწყე, ხობი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, კასპი, წყალტუბო, ბაღდათი. სულ ეს რეგიონები ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს აკმაყოფილებს პურით. პრაქტიკულად კერძო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი აღრიცხვას ექვემდებარება. რაიონებში პურის ცხოვრებას ძირითადად ცეკავშირის სისტემის საწარმოები არეგულირებენ.

პურის ფასებზე ლიბერალიზაციის შემდეგ ხორბლის შემოტანა იე-

ნისში მაისთან შედარებით 2,8-ჯერ გაიზარდა, ივლისში - 2,3-ჯერ, აგვისტოში - 3,8-ჯერ, სექტემბერში - 7,7-ჯერ. ფქვილისა შესაბამისად - ივნისში 1,4-ჯერ, ივლისში - 1,5-ჯერ, აგვისტოში - 2,9-ჯერ, სექტემბერში - 2,4-ჯერ. ხორბლის იმპორტმა 1996 წლის 9 თვეში სულ შეადგინა 248,2 ათასი ტონა, საერთო ღირებულებით 37,7 მლნ აშშ დოლარი. ყველაზე მეტი ხორბალი შემოტანილი აშშ-დან - 62,8 ათასი ტონა, რუმინეთიდან - 40,6 ათასი ტონა, გერმანიიდან - 30 ათასი ტონა, იტალიიდან - 29,3 ათასი ტონა და სხვა. ფქვილის იმპორტმა ამ პერიოდში სულ შეადგინა 137,7 ათასი ტონა. ფქვილის ყველაზე დიდი ოდენობა შემოსულია თურქეთიდან - 53,4 ათასი ტონა, იტალიიდან - 43,3 ათასი ტონა.

პურპროდუქტების, კერძოდ, მარცვლის ცივილიზებული ბაზრის ჩამოყალიბებას ქვეყანაში დიდად შეუ-

წყობს ხელს მარცვლეულის სააუქციონო ვაჭრობის განვითარება.

თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე ჩატარდა ორი სააუქციონო ვაჭრობა. პირველი შედგა 1 ნოემბერს. გამოტანილი იყო 20 ათასი ტონა ხორბალი, რომელიც დაყოფილი იქნა 5 ლოტად თითოეული 4 ათასი ტონა. გაიყიდა 1 ლოტი ანუ 4 ათასი ტონა, იგი შეიძინა დიდუბის წისქვილკომბინატმა. 1 ტონის ფასი 210 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (266,7 ლარი).

6 ნოემბერს ჩატარდა მე-2 სააუქციონო ვაჭრობა. გამოტანილი იყო 16 ათასი ტონა ხორბალი. მე-2 ვაჭრობის დროს 1 ლოტი შეადგინდა 2 ათას ტონას. სულ გაიყიდა 4 ლოტი ანუ 8 ათასი ტონა. მათ შორის შპს "დოლაბა" იყიდა 1 ლოტი (დასასრული მე-4 გვ.)

მსოფლიო ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის როლი მჭიდროდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის საქმეში. დღევანდელი მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესის წილად მოდის არსებული საქმიანი ფირმების 95%, ხოლო ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა ამერიკა და იაპონია - 99%. ეს სფერო ეკონომიკაში უზრუნველყოფს შემოქმედებითი პოტენციალის მასობრივად გამოვლენის პირობებს, განაპირობებს მუსაკურეთა ფუნის სიმძლავრეს. მცირე და საშუალო ბიზნესის სფერო მთავრობათა და სავაჭროსო ეკონომიკური ორგანიზაციების ზრუნვისა და შესწავლის საგანია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. იგი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ითვლება. შემთხვევითი არ არის, რომ ახალ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში საქართველოშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს თანსდევს ახალი, დამოუკიდებელი კერძო სტრუქტურების წარმოქმნა, მცირე და საშუალო ფირმების დაარსება. დღეისათვის მათი რაოდენობა 80 ათასს აღწევს, მაშინ როცა 1987 წელს მხოლოდ 12 ათასი იურიდიული პირი იყო. ამ სფეროს განვითარებისათვის სათანადო გარემო პირობების შექმნის შემთხვევაში მისი აღონღელია ამ რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა. მცირე ფირმების დაარსების ტემპზე დიდ გავლენას ახდენს საწყისი საწესდებო კაპიტალის რაოდენობა, საგადასახადო სისტემის, სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის სრულყოფა, ქვეყნის შიგნით სტაბილური სიტუაცია და ა.შ. მცირე ბიზნესის როლის ზრდა უნდა გახდეს ქვეყნის აღორძინების ერთ-ერთი საფუძველი, რისთვისაც მთავრობის მხრიდან გარკვეული ძალისხმევა და მხარდაჭერაა საჭირო.

ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ამ სფეროს განვითარებისთვის არის ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ახლავარდა ფირმების ჩამოყალიბების, სწრაფი სწავლების პირობებში ინფორმაციული ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აუცილებელია ამ მექანიზმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური კავშირების დამყარებას და ინფორმაციის გავრცელებას. იგულისხმება როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან ინტერგრაციის პროცესის, მათთან თანამშრომლობის, ვაჭრობის, ტექნოლოგიების გაცემის და დანერგვის, ერთობლივი საწარმოების შექმნის ინფორმაციული უზრუნველყოფა. დღეისათვის ის თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მცირე და საშუალო ბიზნესს.

ამ მიმართულებით საქართველოში მოქმედებს არაერთი ინფორმაციული სამსახური, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო. მიუხედავად ამისა, სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ ბიზნეს-ინფორმაცია საქართველოში ჩამოყალიბების პროცესშია. იგულისხმება როგორც პროფესიონალითა, ასევე მომხმარებელთა მომზადება-გადამზადება.

ბიზნესის ღახსიათაბა საქართველოში

საქართველოში ბიზნესის დასასაბათვლად შეიძლება გამოვიყენოთ ევროკავრთიახებაში მიღებული განმარტება, რომლის თანახმად წარმოე-

ბა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს მიეკუთვნება, თუ მასში 500 თანამშრომელზე ნაკლებია დაკავებული. საქართველოში საწარმოების 80%-ში დასაქმებულია რიცხვი შეადგენს 1-100 კაცს, 13%-ში დასაქმებულია 101-დან 250 კაცამდე, ხოლო 7%-ში მომუშავეთა რიცხვი 250 კაცზე მეტია. ეს მონაცემები მიღებულია ტექნიფორმში შექმნილ საწარმოთა მონაცემთა ბაზის ანალიზის საშუალებით. ამავე ბაზის ანალიზით მიღებულია საწარმოთა წილობრივი განაწილება საქმიანობის სფეროს მიხედვით. საქართველოში არსებულ ფირმათა 46% წარმოების სფეროში მოდის, 31% ვაჭრობის, ტურიზმისა და სერვისის სფეროს უჭირავს; 8% განათლების მეცნიერებისა და კულტურის სფეროს წილად მოდის; 7% ეკუთვნის სხვადასხვა სფეროს, ხოლო 4%-ია ჯანდაცვის, ბანკებისა და სადაზღვევო ორგანიზაციათა წილი. გარდა ამისა, ბაზის ანალიზიდან ჩანს, რომ ამ საწარმოებიდან 54% კერძო სექტორს მიეკუთვნება, 44% - სახელმწიფო სექტორს, ხოლო დანარჩენი 2% შერეული სექტორის წილად მოდის.

ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით; ტექნოლოგიების თითქმის სრული განახლება; წარმოებული საქონლისა თუ მომსახურების სფეროს სრულყოფისა სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ ამოცანების გადაწყვეტის დაწყებისთვის ბიზნესს და სამრეწველო ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება მძლავრი საშუალებაა. ეს სფერო განვითარებასა და დახვეწას მოითხოვს.

ცხადია, საქართველოში ბიზნესის განვითარებას სჭირდება ურთიერთობა უახლოეს მეზობლებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი, აღმოსავლეთ ვერპის ქვეყნები, თურქეთი და სხვა). არსებობს სიმძლავრეც იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ ამ ქვეყნებს, ისევე როგორც საქართველოს, არა აქვთ განვითარებული ინფორმაციული ინფრასტრუქტურა. მაგალითად, DIALOG-ში და DATA STAR-ში წარმოდგენილ მონაცემთა ბაზებს შორის არც ერთი ამ ქვეყნის ბაზა, გარდა ჩეხეთისა, წარმოდგენილი არ არის. COMPASS-ის მონაცემთა ბაზა Eastern Europe შეიცავს მხოლოდ 37000

ფართოდ ცნობილი. არსებობს მწვავე საჭიროება, მოვიპოვოთ როგორც ქართული, ასევე უცხოური ფირმების შესახებ უფრო ღრმა ინფორმაცია. იგულისხმება ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის, ფირმის ირველი შექმნილი საზოგადოებრივი აზრის, ხელმძღვანელი პერსონალის კვალიფიკაციის და სხვათა შესახებ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამ ინფორმაციის მოპოვების არხები საკმაოდ დახშულია. სამწუხაროდ, შედეგი სავალალოა: გვაქვს არაერთი მაგალითი პარტნიორების ზერეულ შერჩევას დადემინველოვანი, სახელმწიფო დონებზე ხელმოწერილი კონტრაქტებისთვისაც კი.

საპანონდგობლო ინფორმაცია

ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს ახალი სამართლებრივი ბაზა სჭირდება. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოსა და დსთ ქვეყნების პარლამენტების და მთავრობების მიერ გაწეული უზარმაზარი მუშაობა იმ ბაზის შესაქმნელად, რომელსაც ვერდნობა მცირე ბიზნესის სფერო და


კანონმდებლობის შესაქმნელად, დღეისათვის ამოცანების გადასაწყვეტად არის საჭირო: ეროვნული ბიზნესი იწყებს უცხოეთში პრაქტიკულ საქმიანობას, იზრდება აგრეთვე ბიზნესი უცხოეთის კომპანიების საკარტელო სკანონმდებლობის მიმართ. გაიზარდა ქართული კანონების თარგმნის მოცულობა. შეიქმნა რამდენიმე კერძო კომპანია, რომელიც ამ სამუშაოებს ასრულებს, მაგალითად, "ინფორმაცია". ტექნიფორმა უკვე გამოსცა ქართული ეკონომიკური კანონმდებლობის 8 ტომი. თუცა უნდა ითქვას, რომ ეს საქმიანობა განსაზღვრებულია და ამას საწყისი ფინანსირების ნაკლებობა აშკარად ხელს უშლის.

კარგების მომზადება

მცირე ბიზნესისთვის ინფორმაციის სფეროს განვითარების საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციის მომხმარებელთა მომზადების საქონი. მცირე ფირმა უნდა მუშაობდეს არსებულ საინფორმაციო ცენტრებთან. მისთვის ძნელია საკუთარი ინფორმაციის სამსახურის შექმნა. მან უნდა იზრუნოს ისეთი თანამშრომლის მომზადებაზე, რომლის პროფილიც კომუნიკაცია იქნება - ურთიერთობა ინფორმაციის ცენტრებთან, პრესასთან, რეკლამა და ა.შ. საქართველოში უმადლევი განათლების ტრადიციული სისტემა არ ამზადებდა ასეთი პროფილის სპეციალისტებს. ანალოგიური მდგომარეობაა დღეს სხვა ქვეყნებშიც. ამაში დიდი სამსახური შეიძლება გასწიონ თვით საინფორმაციო სამსახურებმა სწავლებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების გზით. ამ სფეროს ამოცანაა დაუზოხლოვოთ ერთმანეთს ინფორმაციის წყაროები და ინფორმაციის მომხმარებლები, რამდენადაც საინფორმაციო ტექნოლოგიების და რესურსების გამოყენების ეფექტი ბევრადაა დამოკიდებული ინფორმაციის მომხმარებელთა მომზადებაზე და ინფორმაციის წყაროების ცოდნაზე. ასეთი სახის ღონისძიებები, როგორც დღევანდელი სემინარია, ერთ-ერთი საშუალებაა აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად, საქმიან წრეებთან ინფორმაციის სამსახურების დასახიარებლად, გამოცდლების გასახიარებლად და კავშირების დასამყარებლად.

საერთაშორისო დახმარება

საგსებით ცხადია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს განვითარება მდლდარ ქვეყნებშიც კი ძალზე ძნელია მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე, რაც გულისხმობს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოსთვის განკუთვნილი TACIS-ის პროგრამის 5 ძირითადი მიმართულებიდან ერთის სახელწოდებაა "მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება" და ამ მიმართულებაში ბიზნესინფორმაციას თვალსაჩინო ადგილი უკავია. კერძოდ, Business Communication Centre TACIS-ის პროექტი შეიქმნა. საქართველოში მცირე ბიზნესისა და მასთან დაკავშირებით ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფის ინფორმაციულ პროექტებს მხარს უჭერენ ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა UNDP, UNESCO, UNIDO, ვერაზიის ფონდი, სოროსის ფონდი (ღია საზოგადოება - საქართველო), ებერტის ფონდი, შეერთებული შტატების სალიწო, ევროკავრთიახების წარმომადგენლობა და სხვა. მთ თანადგომას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის.



სელმისანვლომი ინფორმაცია მსიკრე ბიზნესის განვითარების სანიღარიუ

ინფორმაციული მოთხოვნის ცვლილება და საინფორმაციო სტრატეგია

მეტი სიცხადისთვის ბიზნეს-ინფორმაციის სახეები შეიძლება ზოგადად ასე ჩამოყალიბდეს: საფირმო ინფორმაცია, ინფორმაცია ბაზრის შესახებ, ინფორმაცია საინვესტიციო სიტუაციის და წყაროების შესახებ, ინფორმაცია კონკურენტების, სტანდარტების შესახებ, ბიზნეს წინადადებები და სხვ.

საფირმო ინფორმაცია

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს განვითარებისთვის, ეკონომიკური ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საფირმო ინფორმაციის არსებობას, რომელსაც ზოგადად ფართო ადგილი აქვს დათმობილი მრავალრიცხოვან ცნობარებში, კატალოგებში, მონაცემთა ბაზებში. უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში ფართო გამოყენება პოვა CD-ROM-ზე ჩაწერილმა მონაცემთა ბაზებმა უცხოური ფირმების მონაცემების ჩვენებით. ინფორმაცია უცხოური ფირმების საქმიანობის შესახებ ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია.

რაც შეეხება ქართულ ფირმებს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი საკუთარ პროფილს მსგავს გამოცემებში ძალზე ზოგადად წარმოაჩენენ. ცნობარები ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტურია. ფაქტობრივად ეს არის ფირმის რეკლამა და არა მომსახურების ან საქმიანობისა. საჭიროა ფირმებმა ისწავლონ საკუთარი პროფილის სწორად წარმოჩენა. ტექნიფორმში შექმნილი მონაცემთა ბაზა, რომელიც უკვე გახსენეთ შეიცავს მოკლე ცნობებს 5000 საწარმოს შესახებ. ამის საფუძველზე გამოცემულია საწარმოთა ცნობარი Georgian Companies, რომლიდანაც ზემოთ მოყვანილი მტკიცება ნათლად ჩანს. ბაზაში და ცნობარში საქმიანობის ინდექსაციისათვის გამოყენებულია ევროკავრთიახების მიერ შემუშავებული კლასიფიკატორი NACE. ეს კლასიფიკატორი კომპანიას აძლევს კარგ საშუალებას მიახდინოს საკუთარი საქმიანობის ადეკვატური იდენტიფიცირება. მაგრამ NACEსაქართველოში ვერცხერობით არ არის

ოღობით დაგვემარტობან. რაც შეეხება ნაგვის გამოყენებას, ბრისტოლს საქართველოსაგან განსხვავებით, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვინია. მის იუენებნ სასუქად, მინის წარმოებასა და მეტალის მიღებაში. რაც შეეხება ტრანსპორტის გამონაბოლქვისაგან პაერის დაბინძურების ლიკვიდაციას - სპეციალური ფილტრითაც შეიძლება - "დაგ-

მაჯანვალა კაღლები პრობლების ინგლისელიებამ მერ გაიბმის

ბრისტოლის დელეგაციის ეკოლოგიის ჭგუფისა და თავად ბატონ მაკლარენისთვის იმდენად უცხო აღმოჩნდა მაწანწალა ძილებების არსებობის პრობლემა, რომ მათთან ბრძოლის მეთოდებზე გამოცდილება ვერ გავვიზარეს, თუმც კი დავვირდინენ, რომ დელეგაციის ბრისტოლში ჩასვლის შემდეგ ამ პრობლემის გადაწყვეტაში პროექტის მოწარმებმა მსოფლიოს ქვეყნებთან დაგვემარტობან. რაც შეეხება ინგლისელიებს, ისინი საკუთარ პროფილს მსგავს გამოცემებში ძალზე ზოგადად წარმოაჩენენ. ცნობარები ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტურია. ფაქტობრივად ეს არის ფირმის რეკლამა და არა მომსახურების ან საქმიანობისა. საჭიროა ფირმებმა ისწავლონ საკუთარი პროფილის სწორად წარმოჩენა. ტექნიფორმში შექმნილი მონაცემთა ბაზა, რომელიც უკვე გახსენეთ შეიცავს მოკლე ცნობებს 5000 საწარმოს შესახებ. ამის საფუძველზე გამოცემულია საწარმოთა ცნობარი Georgian Companies, რომლიდანაც ზემოთ მოყვანილი მტკიცება ნათლად ჩანს. ბაზაში და ცნობარში საქმიანობის ინდექსაციისათვის გამოყენებულია ევროკავრთიახების მიერ შემუშავებული კლასიფიკატორი NACE. ეს კლასიფიკატორი კომპანიას აძლევს კარგ საშუალებას მიახდინოს საკუთარი საქმიანობის ადეკვატური იდენტიფიცირება. მაგრამ NACEსაქართველოში ვერცხერობით არ არის

პირდაპირი საპაერო კავშირის უქონლობაა.

თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა პრეს-კონფერენციაზე იმედი გამოთქვა, რომ ჭერ კიდევ 1988 წელს ბრისტოლთან პირველად დადებული ხელშეკრულება და ამჟამინდელი ვიზიტის შედეგები სსსიკეთო კონტაქტების საწინდარი იქნება.

ნათუნა ბრმვამ

რუსეთი. პრივატიზაცია:

შესაძლებელია გასწორება

ბიუჯეტის პროექტის განხილვამ და შესაბამისად მასთან ერთად, მომავალი წლისთვის რუსეთის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე, კვლავ მიაპყრო ყურადღება პრივატიზაციის პრობლემებს. მისი გეგმები და მასშტაბები მნიშვნელოვნად იცვლება. ამაზე ნათლად მეგყველებს მთავრობის ახლებური დამოკიდებულება პრივატიზაციის ახალ ფორმირებასთან. აქ უკვე ვერ ნახავთ კონკრეტულ ვადებსა და ღირებულებებს, ძირითადი ყურადღება საკუთრებათა ურთიერთობის რეფორმირების მეთოდებსა და პრინციპებს ექცევა. რამდენად მართებულია ეს პოზიცია - სადავო საკითხია. ამას წინათ, ამ საკითხის გარშემო თავისი აზრი გამოთქვა სახელმწიფო სათათბიროს საკუთრების, პრივატიზაციისა და სამეურნეო საქმიანობის კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე ბუნიჩინმა. მან განაცხადა, "რომ პრივატიზაციის პროგრამის განხილვის მსვლელობისას შესაძლებელი გახდა მოგიერთ სადავო საკითხზე მთავრობასთან მოლაპარაკება. კერძოდ, პარლამენტარებს შეჰპირდნენ, რომ დადგენილი იქნებოდა პრივატიზაციის ვადები, რომელსაც, ალბათ, სამ წელს დაუთმობენ.

პავლე ბუნიჩინის სიტყვებით, ამის შემდეგ პრივატიზაცია ძირითადად დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში მან უკვე მიიღო მიმქრალი ხასიათი: "ვიღაცას ჰყვიდიან, ვიღაცას კი პირიქით". მაგრამ ეს მომავალში, სადავოს კი დეპუტატები მოითხოვენ მომავალი წლისთვის, პრივატიზაციის თანხების სიდიდის დადგენას. სხვაგვარად შეუძლებელია საჭირო სიდიდის თანხების ჩარიცხვა ბიუჯეტში.


წინა წლებისაგან განსხვავებით, პრივატიზაციის პროგრამის პროექტში ამგვარი ციური არ იყო. ასეთ გაურკვეველობაზე დათანხმება კი ძნელია.

ასევე დისკუსიის საგანია, ბედი ეგრეთწოდებული აკრძალვითი სიებისა, რომელთაგანაც ორი საკმაოდ თავისებურ ხასიათს ატარებს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება "აკრძალული" ობიექტების პრივატიზებისა. პარლამენტარები არ მოითხოვენ ამ დებულების უარყოფას, თუმცა თავის მხრივ განმარტებული აქვთ სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე კონკრეტული დაწესება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა გირაუნობის აუქციონებს. ცნობილია, რომ არა მარტო მათი შედეგები, არამედ სამართლებრივი უზრუნველყოფაც კი იწვევს დიდ საყვედურებს. კერძოდ, დამთვლელმა პალატამ მათ არაკანონიერი უწოდა, რადგან პრივატიზაციის

საშუალებას არ წარმოადგენს. იგივე პავლე ბუნიჩინს აზრით კი თორმეტივე ასეთი აუქციონი, ბევრი შეცდომების მიუხედავად, შემდგომად უნდა ჩაითვალოს. რაიმეს შეცვლა მხოლოდ საარბიტრაჟო წესით შეიძლება. თუმცა ასეთი პროცესების გამოცილება ცხადყოფს, რომ ამგვარი მცდელობები არ მთავრდება სახელმწიფოს სასარგებლოდ.

სხვა საკითხია ჩაგარდეს თუ არა გირაუნობის აუქციონები მომავალში. პავლე ბუნიჩინ თვლის, რომ თვითონ მცნება "გირაუნობის აუქციონი" იურიდიული თვალსაზრისით სუფთაა, ამიტომ საჭიროა განისაზღვროს, ვის შეუძლია მისი ჩაგარება. მისივე აზრით, პრივატიზებადი ობიექტების გირაუნობაში გადაცემა საჭირო არ არის, ისინი, უბრალოდ, უნდა გაიყიდოს. სხვა დამოკიდებულებაა იმ ობიექტებისადმი, რომლებიც აკრძალვით სიაში შედიან. მათი გაყიდვა არ შეიძლება. ისინი შეიძლება გადაიცეს გირაოდ, სახელმწიფოს მიერ აუცილებელი შესყიდვის პირობით.



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ის, რომ დღემდე ღიად რჩება პრივატიზებული ობიექტების ღირებულების შეფასების საკითხი. სახელმწიფომ შესთავაზა ამისთვის ბალანსური ღირებულების გამოყენება, რომელიც განისაზღვრება პრივატიზაციის თარიღის ერთი კვარტლით ადრე. პარლამენტში ასეთი გადაწყვეტილება ეჭვქვეშ დააყენეს. კომპრომისის სახით, შესაძლებელია ამ მეთოდის გამოყენება წერილ საწარმოებზე, ხოლო დიდებისათვის განისაზღვროს საბანკო ღირებულება "შეფასებითი მოდელის" კანონის საფუძველზე, რომლის მიღებასაც მიმდინარე წლის ბოლომდე იმედოვნებენ.

შეტირანთა ავტობასპირანება

აგერ უკვე მეასედ გაიმართა ავტობასპირანის ღონისძიება-ბრათონი, რომელშიც უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ ვეტერანი ავტომობილები მონაწილეობენ. მათში თავისი სიძველით გამოირჩევა ორი - "ნაპიერი" - 1900 წლის გამოშვება და შედარებით "ახალგაზრდა" "საიდუგალი" - 1904 წელს დაშვებული. რბოლაში სულ 660 მანქანა მონაწილეობს. მარშრუტის სიგრძე მთელი 80 კილომეტრია!

კარგი იქნებოდა მიგვეზარა ინგლისელებისათვის და ჩვენც სათანადო პატივი გვეცა ჩვენი სიძველეებისათვის!

"დედიკოს შვილები"

იტალიელებს ძალიან არ უყვართ საოჯახო საქმეები, - დაუთობა, ჭურჭლის რეცხვა და სხვა. ისინი ეშმაკს მიჰყვიდიან სულს, ოღონდ ზედმეტი ფიზიკური შრომისაგან დაიხსნან თავი. აქვინის ექსპანსიური მკვიდრნი თავისუფალ დროს ყველაფერს... ძილს ამჯობინებენ. იტალიელებს ასევე ეძნელებათ მშობლებთან განშორება და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება. მაგალითად, დანიაში 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდების მხოლოდ 48 პროცენტს სურს მშობლებთან ერთად ცხოვრება, მაშინ როცა იტალიელთა შორის "დედიკოს შვილები" მთელი 91 პროცენტია! ნეტავ ქართველებში რამდენი შვილი ისურვებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, ან რამდენი მშობელი მოეკიდება ამ სურვილს გაგებით!

შეფოსავალი... მოგაგალ საუკუნეში

უნიკალური 34-ტომიანი "ხელოვნების ლექსიკონის" ამერიკული განყოფილების რედაქტორი ჯეინ ტერნერი სამართლიანად ამყობს თავისი ნამუშევრით. თოთხმეტი წელი დასჭირდა ლონდონის გამომცემლობა "მაკმილანს" იმისათვის, რომ მოეზადებინა სრული ენციკლოპედიური ლექსიკონი. მაგრამ გამომცემლებს ეს დიდად ვერ ახარებთ. დაბეჭდილი 6 ათასი კომპლექტიდან ნახევარზე მეტი არ გაყიდულა, რაც გაიყიდა ისინიც ძირითადად შეიძინეს უნივერსიტეტებმა და სამეცნიერო დაწესებულებებმა. დანარჩენს კი მტკვრი ედება მზა პროდუქციის საწყობში. ამის უმთავრესი მიზეზი გამოცემის მაღალი ფასია. თითო ნაკრები 5750 გირვანქა სტერლინგი ღირს. გამომცემლობამ სულ 32 მილიონი გირვანქა დახარჯა და ასეთი გასაღების პირობებში დანახარჯის ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ 2007 წლისათვის მოახერხოს.

ფანით - მსოფლიოს იმპერატორი

ინგლისელი ფიონა კემბელის გატაცებაა ფეხით სიარული. მან უკვე 10 ათასი მილი გაიარა აფრიკის გზებითა თუ ბილიკებით. ამჟამად აფრიკაში დაბრუნდა. მისი "ფეხოსანი ლაშქრობა" ალბათ არ დაფიქრდება როგორც მსოფლიო რეკორდი, რადგანაც ქალბატონმა გაამხილა, რომ ინდიანაპოლისისა და ქალაქ ფორტ სამერს შორის სიარულისას ცოტა ხნით შემხვედრი ავტომობილით ისარგებლა.

ფედერალური დაზვერვის ბიუროს დირექტორის ხელფასი არ ჰყოფნის

ვაშინგტონში ხმა გავრცელდა, რომ ფედერალური დაზვერვის ბიუროს დირექტორი დიუის ფრი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადადგომას აპირებს, ორ მიზეზსაც ასახელებენ. პირველია ფაბ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული გახშირებული სკანდალები. მეორე მიზეზი კი სულ სხვაგვარია: მის-

ბელ ოტისი. 1994 წელს მან ყველა მამაკაცს გაუსწრო და მსოფლიო რეკორდი დაამყარა ლათინური ამერიკის ირგვლივ ნიუ-იორკსა და სან-ფრანცისკოს შორის იალქნის ნავით ცურვაში. ეს მანძილი მან დაფარა 62 დღესა და 5 საათში. მეორე ქალბატონი, ჟურნალისტი კეტრინ შაბო უფრო მოკრძალებულ მიზანს ისახავს - უნდა ბოლომდე მანც გაუძლოს დისტანციას.

ტრიუმფალური ტურნი

ფლამენგოს ესპანელი მოცეკვავე ხოაკინ კორტესი განაგრძობს ტრიუმფალურ ტურნეს ევროპაში. კორტესი - ესპანელი აცინგანი თავის შოუში აერთიანებს რომანტიულ ბოშურ ტრადიციას და თანამედროვე როკ-როლის იმპროვიზაციას, რაც თავისთავად ძლიერ ორიენტირებულია. მისი კონცერტები მანც იმით უფრო იზიდავს მაყურებელს, რომ მას ქალთა უფრანალები "90-იანი წლების სექს-სიმბოლოდ" მოიხსენიებენ.



პ ა ნ ო რ ა მ ა

მადონა დედა

ტერ ფრის მეზუეთ ბავშვი შეეძინა. ხუთი ბავშვის ნორმალური აღზრდა-განათლებისათვის კი მას ფაბ-ს დირექტორის ხელფასი, ყოველგვარი სხვა შემოსავლის გარეშე, ნამდვილად არ ჰყოფნის. ამბობენ, ფრი უკვე დაახლოებით "განათლების ანგარიშებმა"-ო. მას ერთადერთი გამოსავლად მიაჩნია ახლანდელი თანამდებობიდან გადადგენ და რამე სხვა სამუშაო, მაგალითად, საველელო ფირმაში მალაზხელფასიანი ადგილი იმუშავოს. თვითონ ფრი უარყოფს ამ ხმებს, მაგრამ მისი მეგობრები ამტკიცებენ, რომ იგი დიდხანს ვერ გაუძლებს შვილების სწავლის ხარჯებს და ბოლოს მანც იძულებული იქნება გადადგეს...

ორი მანდილოსანი მგლების სროვაში

ორი ფრანგი ქალი - 40 წლის იზაბელა ოტისი და 34 წლის კატრინ შაბო 14 ზღვაოსან მამაკაცთან ერთად - რომლებიც შეიკრიბნენ საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ბელგიაიდან, კანადიდან და უნგრეთიდან - ატლანტის პორტ საბლ დ ოლონიდან თითო ადგილიანი აფრიანი ნავებით გაუდგნენ ზღვის 50 ათას კილომეტრს.

ქანცვამცვლელი საოკეანო რბოლის "ვანდე გლობ"-ის მარშრუტი, რომელიც უკვე მეხამედ ეწყობა, გადის ევროპისა და აფრიკის სანაპიროებზე, ირგვლივ შემოუქლის ანტარქტიდას, შემდეგ კი პორნის კონცხის გავლით ლათინურ ამერიკას. რბოლა პორტებში შეუსვლულად დასრულდება 3 თვეში იმავე საბლ დ ოლონიდში, სადაც აიღო სათავე. გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია დიდი გამოცდილების მქონე, პროფესიით აგრონომი იზა-

ამერიკაში საკმაოდ ირონიული ხასიათის პროტესტი გამოიწვია მადონას გადაწყვეტილებამ უარი ეთქვა უფრანგისტებთან და თავიანისმცემელებთან ბავშვიანად ჩვენებაზე. დაბოლოს, ლამაზმანი მანც გატყდა და ერთადერთი ინტერვიუ მისცა უფრანგ "პარი-მატჩს". კითხვაზე - მიძიმე ხომ არ იქნება ბავშვისთვის "მადონას შვილის" სახელი, მსახიობმა უპასუხა, რომ არავის მისცემს უფლებას ისე მოეპყრან მის შვილს, როგორც თვითონ მას ეპყრობოდნენ. "ყველაფერს გააკეთებ იმისათვის, რომ გოგონა ტელეეკრანს მოვარიდო. ყველაფერს გააკეთებ იმისათვის, რომ "მადონას ბავშვს" ვერანაირი ექსპლუატაცია ვერ გაუწიონ. არ ვაპირებ მისგან რაღაც ჩემნაირი გამოვძერწო. მინდა, რომ ნორმალური ცხოვრება ჰქონდეს. თვითონ დაალავოს თავისი ლოგინი, გამოავაოს თავისი ოთახი, ერთი სიტყვით, გააკეთოს ყველაფერი ისე, როგორც ჩვეულებრივი ბავშვები აკეთებენ. სწავლით კი იგი აუცილებლად ინტერნატში ისწავლის" - დასძინა მან.

ამრობიკა 20 წლისაა

ორმოცდათვრამეტი წლის ჯეინ ფონდამ, მსახიობმა და ტელემაგნატ ტედ ტერნერის მეუღლემ ფართოდ აღნიშნა თავისი შემოქმედების ნაყოფის - "აერობიკის" 20 წლისთავი და მას ნიჭის ახალი გაფლავება მიუძღვნა - გამოცემა "სამზარეულო წიგნი ჯანსაღი ცხოვრებისათვის". წიგნი წინ წარუდგა აშშ-ის ლიტერატურულ ჰიტ-პარადს. ჯეინ ფონდას "კულინარიობიკა" იმათთვის არის გათვალისწინებული, ვისაც ვერაფერი ასწავლა მისმა აერობიკამ.

ინფორმაცია

რუსეთი

შერეალობის შესახებ შეთანხმება

პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერომეჩინთან გამართულ სათაბიროზე გადაწყდა - შეუნარჩუნდეთ შეღავათები რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. კერძოდ: ვიცე-პრემიერის ვ. იგნატენკოს განცხადებით, ისინი კვლავ არ გადაიხდიან დამატებულ ღირებულებას, განთავისუფლებულნი არიან საბაჟო გადასახადებისაგან, სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადარიცხავენ საგალუტო ამონაგების ნაწილს.

ბრომოს სამხედრო რეფორმები არ მოსწონს

არმიის დაწყებული სამხედრო რეფორმის პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია გენერლების 50 საშტატო ერთეულის გაუქმება. შეიარაღებული ძალები შემცირდება 30 დივიზიით. სამაგიეროდ, დარჩენილები სრულად დაკომპლექტდება, რაც სპეციალისტების აზრით, მკვეთრად აამაღლებს მათ ბრძოლისუნარიანობას.

ავღანეთის ომიდან ცნობილი გენერლის ბორის გრომოვის აზრით, ამ ღონისძიებების გატარება ნაადრევია, რადგანაც რუსეთის შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ არ არის მზად ასეთი გარდაქმნებისათვის.

ბიუჯეტის ინვესტირების უნდა გაზარდოს

მთავრობა მზად არის მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისას წავიდეს გარკვეულ დათმობებზე, რომლის მთავარი პირობა იქნება ის, რომ ახალმა ბიუჯეტმა "ფართო გზა გაუხსნას ინვესტირების". ეს განცხადება გააკეთა ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ალიგვიძემ. მისი აზრით, ბიუჯეტის ჩამოყალიბების მთელი სიმწვავე ისაა, რომ ბოლო დროს შესაძლებელია შემცირდეს ინფლაციის ტემპები და ბიუჯეტს უკვე აღარ ძალუძს ხარჯები დაფაროს ფასების ზრდით.

ნავსადგურის რეკონსტრუქციას აპირებენ

სპეციალისტების აზრით, ეკონომიკურად ყველაზე მყარი მთელს რუსეთში ნოვოროსისკის ნავსადგურია. იგი რუსეთის საზღვაო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის 12 პროცენტს უზრუნველყოფს. ბოლო ორი წლის მანძილზე პორტის ტვირთბრუნვამ 40 მილიონ ტონა შეადგინა, აქედან 80 პროცენტი ნავთობპროდუქტებზე მოდის, 20 - მშრალ ტვირთზე. მიუხედავად იმისა, რომ ნავსადგური კარგად არის აღჭურვილი, მაინც დამუშავდა მისი რეკონსტრუქციის პროექტი, რომლის განხორციელებას წინასწარი განგარიშებით 1,27 მილიარდი დოლარი დასჭირდება.

პრივატიზაციის მაცნა

№ 36

ეროვნული

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება "საქსაშენმასალების" თბილისის ავტოსაგრანსპორტო გაერთიანების იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან საწარმოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება საწარმოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული საწარმო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს № 13 გრესგის № 8 სამმართველოს იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან სამმართველოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება სამმართველოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული სამმართველო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს № 13 გრესგის № 5 სამმართველოს იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან სამმართველოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება სამმართველოს

იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული სამმართველო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება "საქმონგაქსპეკმენის" იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან საწარმოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება საწარმოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული საწარმო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება სახელმწიფო კონკურს "საქავგომის" მცირე საწარმო "ქვიას" იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან საწარმოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება საწარმოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული საწარმო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს მკპ19-ის იჯარით-გამოსყიდვის

უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან სამმართველოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება სამმართველოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული სამმართველო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს თბილისის "მექანომონტაჟის" სამმართველოს იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან სამმართველოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება სამმართველოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული სამმართველო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ა/წლის 13 ოქტომბერს გაზეთ "პრივატიზაციის მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება "საკსათბურმრეწვის" ამიერკავკასიის სპეც. მოძრავ-შექანიშებული კოლონის იჯარით-გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან სამმართველოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიგანა განცხადება სამმართველოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული სამმართველო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

Table with 3 columns: განცხადებები, განცხადებები, განცხადებები

ზოგჯერ თქმა სჯობს

ეს ტრაგედია არ არის

ფრაზის ბოლოში სამ წერტილს შეგნებულად არ ვსვამთ. გვაპატიოს დიდი პოეტის აჩრდილმა, მაგრამ ახლა ნამდვილად ასე სჯობს, ასე უფრო სწორია და რაც უფრო ხშირად ვიტყვით სიმართლეს, იმდენად სწრაფად მოშუშდება ის იარები, რასაც ხშირად ყოველდღიურობა და უფრო ხშირად კიდევ ჩვენი ახირებულობა გვიტოვებს.

ქვეყანა მართლაც არ დაქვევულა, ამჯერად მაინც საქართველოში ეროვნული ტრაგედია არ დატრიალებულა. მხოლოდ მოსახლენი მოხდა. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ფეხბურთის ფუძემდებლებთან, მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან ინგლისელთან მატჩი დათმო ანგარიშით 0:2. ეს უფრო საპატიო მარცხია, ვიდრე მოლდოვასთან საკუთარ მოედანზე წაგება.

ლი მსაჯის სასტვენის ხმას. აი, ეს იყო სავალალო და თანაც სრული უპატივცემლობა იმ ათეულ ათასობით გულშემატკივარისა, რომელმაც ამ საერთო სიღატაკის ჟამს 15-20 ლარი არ დაიშურა და სტადიონზე მოვიდა საყვარელი სპორტსმენების გასამხნეებლად და მხარდასაჭერად.

ქომაგების ასე აბუჩად აგდება მართლაც არის დასაფიქრებელი და განსასჯელი.

ეს ალიკაპი მაინც რა იყო?

ინგლისელთა საუკეთესო მოთამაშემ, ბრიტანელი ფანების სათავეანებელმა პოლ გესკონმა ცხელ გულზე საკუთარი ცოლი მიტყუა, მერე ასპარეზობისას უღირსად მოიტყა და მინდვრიდან გააძევეს.

აქაოდა, გესკონიანია, პირში წყალი არავის ჩაუგუბებია. პრესამ ერთი ალიკაოთი ატენა, ნაკრები-

ანვე გადაიკეტებოდა მტკვრის მარცხენა სანაპირო, მორიდებულად ისიც გვაუწყებს, რომ არ უნდა გვწინოდა უშიშროების მიზნით სტადიონზე შესვლისას თუ თავზაიანად გაგვჩხრეკდნენ კიდევ.

ყოველივე ამამი იყო რაღაც ილუმალი და შემამოთხლებელი, ერთგვარად დამორგუნველი.

სინამდვილეში რა მოხდა? ბილეთები 8 ნოემბერსაც გაიყიდა, სანაპირო მხოლოდ თამაშამდე სათანახვრით ადრე გადაიკეტა და სტადიონზეც ბევრი გულშემატკივარი ყოველგვარი გაჩხრეკის გარეშე შევიდა.

და მაინც: ქართველ ფეხბურთელთა უგერელობით (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) გულდაწყვეტილ მყურებლებს სტადიონზე ბომბი არ აუფეთქებიათ, ქუჩაში მალაზიები არ დაურბევიათ და ანტისამთავრობო მიტინგი არ მოუწყვიათ. ქართული ფეხბურთის მესვეურებს და სამართლდამცავებს კარგად მოეხსენებათ, თუ რა მოხდებოდა ლონდონში მასპინძლებს რომ ქართველებით უსუსურად ეთამაშათ.

ქართველი გულშემატკივარი სხვაა - მას უყვარს ფეხბურთი, ფეხბურთელი, მოსწონს ცეცხლოვანი თამაში, მაგრამ სულგრძელიც არის, პატივბა შეუძლია და მისი დამინება საჭირო სულაც არ არის.

სრულიად ვეთანხმებით ბატონ კოტე მახარაძეს და ვამატებთ, რომ ბელურებისთვის ზარბაზნის დამუნას გავეს, ნებისმიერი ხმაური, რომელიც საქმეს არ წაადგება.

ეს მიმოხილვა არ არის - იტყვის მკითხველი. მართალიც იქნება. არ არის ჩვენი საქმე იმის გარკვევა, თუ როდის, რა სიტუაციაში უნდა გამოვიდეს კარიდან მეკარე, როგორ ჩაუხტეს მცველი მეტოქის თავდამსხმელს ან როდის ჯობია ფინტი მოწინააღმდეგის მოტყუება და უშუალოდ საჯარიმო მოედანზე ინდივიდუალურად შესვლა. ეს სპეციალისტების საქმეა, მწრთენელმა უკეთ იცის, რომელი ფეხბურთელია უკეთეს ფორმაში.

ამიტომ მათ კომპეტენციაში არავინ უნდა იჭრებოდეს. აზრის გამოთქმის უფლება კი ყველას აქვს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლებს მუქარაშემარული ტონით არავინ უნდა თხოვდეს პირში წყლის ჩაგუბებას, ზოგჯერ უადგილო ტრაბახის მოყვარული ბიჭების განაწყენებისაგან თავის შეკავებას.

უნდა "შევიმეცნოთ" თავი ჩვენი და იმდენად გავიპრაზნოთ, რამდენადაც "ძალი შეგმეწვეს ქაღლისა".


რაც მთავარია, წამხდარ საქმეს ბოლოში არაფერი ეშველება, მაგრამ სწორი დასკვნების გაკეთება მაინც საჭიროა - მწვრთნელის მიერ "გაუფუჭებული" თამაშის მხოლოდ მოთამაშეებისთვის გადაბრალება და "ეროვნული ნაკრების მაისურით" დანაშაულება საქმეს ვერ წაადგება. ფეხბურთის ფედერაციამ, ნაკრების ხელმძღვანელობამ პრინციპული ანალიზი უნდა გაუკეთოს საერთოდ ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს, პრინციპული ანალიზი გააკეთოს და საერთო ვითარების შეფასების დროს საკუთარი თავიც არ უნდა დაივიწყოს.

მიიო მხილველი

წინა ნომარში გამოკვეთილი პრობორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პრემატიზმი; 5. ბერი; 6. პალტი; 7. არია; 11. კარი; 12. ლენინიზმი; 14. ქერი; 16. ბაია; 18. ჩაფი; 20. მტრული; 21. რანტი; 22. ვაივა; 23. რუსტი; 25. ფარსი; 27. იხანა; 29. ლელი; 31. სიმა; 33. ირაო; 34. პროფესორი; 37. ნალი; 40. ოსლო; 41. სკარი; 42. ბორა; 43. ავიტამინოზი.

შეშულად: 1. პერი; 2. მხალი; 3. ტიტრი; 4. იერი; 5. ბარათი; 8. ალერდი; 9. ლედი; 10. ზმნა; 11. კრამარივი; 13. ნამი; 15. იდეალიზმი; 16. აბილილი; 17. არიფი; 18. ჩინია; 19. ტივტივა; 24. საბადო; 26. რიმი; 28. აკვანი; 30. ლარი; 32. ანდა; 35. ფრაზა; 36. სარჭი; 38. ალყა; 39. ბოლი.




თარაზულად: 3. უდაბნო აფრიკაში; 7. პირი ან დაწესებულება, რომელსაც იუბილეს უხდათ; 9. ერთწლოვანი სარვევლა მცენარე ბალახისებრთა ოჯახისა; იკეთებს მსხვილ, მოყვითალო, მზისკენ მიქცეულ ყვავილს; 12. მაჰმადიანთა დღესასწაული; 14. ტყავის (ან შალის) წვივზე წამოსაცმელი, რომელშიც, ჩვეულებრივ, შარვის ტრიალი ჩატანებული (იკლდნენ ძველად) - საცვეთი, საწვივე; 15. ორივე ბოლოთი დამაგრებული მორილი წვეჭლა ან სხვა რამ რკალის ფორმისა; 17. სხვადასხვა ხელსაწყოში ერთ ხაზზე მოთავსებული დანაყოფები სიდიდითა და სახეობით; 18. უმათილო კავშირგაბმულობა მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით; 19. რთულყვავილოვანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარე; აქვს ყვითელგულიანი თეთრი ყვავილები; 20. საჯდომი პირუტყვი (ცენი, ვირი, ჯორი) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში; 22. ეკლიანი მაღალი ხეიარა ბუჩქი; აქვს მცოცავი ღეროები; 23. რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მეთაური; 25. ატმოსფეროს მდომარეობა განსაზღვრულ დროს და ადგილზე (წვიმა, თოვლი, ქარი, სიციხე, სიცივე...); 26. ნემსის შორ-შორ ამოგებით ნაკერი; 27. მდინარის, ტბის პირებზე გავრცელებული მცენარე ისრის მოყვანილობისა; აქვს პატარა ყვავილები; 30. ბალახიანი მიწის ნაკვეთი, რომელიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა და ბალახის ფეხვებით არის შეკრული; 33. ჭურჭელი (ჩვეულებრივ, ბითლი), რომელშიც ერთი ლიტრი ჩადის; 35. გვერდულად გავლებული, დახრილი; ალმატაური; 36. ქალაქი ალჟირში; 37. მატყელით (ბამბით, თევით) გავსებული (დაღინდავებული) რბილი საგნები; 38. მკვიდრი მცხოვრები, ფეხმოკიდებული მოსახლე; 39. მოწინააღმდეგეზე სწრაფი თავდასხმა, შეტევა.

შეშულად: 1. პირი რომელსაც სისრულეში მოჰყავს სასიკვდილო განაჩენი; 2. იზოლირებული სადენი წყალქვეშა და მიწისქვეშა გაყვანილობისათვის; 4. ფანგბადის, აზოტისა და სხვა უფერო აირების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს და რითაც სუნთქავს ცოცხალი არსება; 5. პროფაკვირული ორგანიზაციის ადგილობრივი კომიტეტი 1981 წლამდე; 6. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე მატყელისებრთა ოჯახისა; აქვს მოგრძო ფოთლები და მტკნებად ან თავთაგებად შეკრული წვრილი ყვავილები; სამკურნალოა; 8. ნაგებობა, რომლის საშუალებითაც ვეძებთ გადაწყვეტ მდინარის ან არხის ერთი უბნიდან მეორეში, სადაც წყლის დონე განსხვავებულია; 9. ცხენის, სახედრის და მისთ. ასაკილი ტვირთი; 10. ერთ ბოლოში წაწვეტილებული ხის, რკინის მოკლე ნაჭერი ან ქვა; იყენებენ ხის გასაპობად ან რისიმე გასამარებლად; 11. მასობრივი გამოსვლა ქუჩაში თანაგრძობის ან პროტესტის ნიშნად; 13. დიდი მონასტრის წინამძღვარი; 16. მოგრძო, პირგანიერი და ძირწერილი გილირი (ქვემო იმერეთისა და გურიაში), ხმარობენ მალაჩრიდან - ყურძნის, მაღალი ხიდან - ხილის ძირს ჩამოსაშვებად; 21. უაღრესად პატიოსანი, კეთილშობილი, დიდსულოვანი ადამიანი (მამაკაცი); 23. პირი, რომელიც დასახლებულია სადმე ასარჩევად, დასანიშნად ან მისაღებად; 24. სახის (ან რაიმე საგნის) გამოსახულება გვერდიდან; 28. ხეიარა ბალახოვანი მცენარე კანაფისებრთა ოჯახისა; მის გირჩისებურ ყვავილებს იყენებენ საფურის დასამზადებლად და ლუდისათვის საგანგებო გემოს მისაცემად; 29. კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი; აქვს პორიზონტალურად გაბმული ლითონის სიმები; 31. მოსქი, ტკბილი და სურნელოვანი ალკოჰოლიანი სასმელი; 32. საქონლის საკვები, ფურაფი; 33. დამარილებული და ბოლში გამოყვანილი ღორის ხორცი; 34. უმაღლესი მიზანი ადამიანის მოქმედებისა, მოღვაწეობისა, მისწრაფებისა.



ინგლისელები უტევენენ, "მერსედესი" კი იდგა და ელოდა... ამაოდ



დათმოგილი ასპარეზი

თუ მეტი არა, გულდასაწყვეტია ის, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა ასპარეზი დათმეს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. არავითარი აღმაფრენა, არავითარი ჟინი, გამარჯვების წყურვილი ჩვენი სპორტსმენების მოქმედებაში არ იგრძნობოდა. ისინი თითქოს მოედანზე მოვალეობის მოსახლელად გამოვიდნენ და ისე ჩანდა, თითქოს ერთი სული ჰქონდათ როდის გაეფრთხილდნენ პორტუგალიე-

დან პოლის გაგდება მოითხოვა და "საწყალ ბიჭს" ათასი ბოდიშის მოხდამ მოუწია.

ჩვენთან რა ხდება? თამაშის წინ სპორტსმენებს გული არ გაუტეხნოთ, რაიმე უხერხული სიტყვა არ წამოგცდეთო და ქართულ პრესას ალიკაპი ამოსდეს. ბევრმა ჩემმა თანამოკალემ თავი მეტად გამოიღო და ასპარეზობის წინა დღეებში ქართველთა ხოტბისა და ინგლისელთა გაბიბარებუბის მეტი არაფერი უკეთებია, ბრიტანელები ევროპის ყველაზე ჩამორჩენილ გუნდად წარმოადგინა და იმ "ნაბოლარმა გოჭმა" ჩვენი ეროვნულ სტადიონზე თავის გემოზე წაივარჯიშა, რა მაჩანჩალაცაა, კარგად გვიჩვენა და სამი ქულით ხელდამშეგნებული შინ გაემგზავრა.

ჩვენ კი მართალი სიტყვის თქმას მოკლებულები, მართლა პირში ჩალაგამოვლებულები დაგვტოვა.

აწი მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ "ვინც არა გავს კახაბერსა", მას ნუ ვიტყვით კახაბერად.

თუ გგჭირდება ატყდეს "სროლა"

ამ პრინციპით მოქმედებდა ჩვენი საზოგადოების ნაწილი და სამართალდამცავი ორგანოები. თამაშამდე ერთი კვირით ადრე დაიწყეს დამინება, რომ ვინც ბილეთს დროზე არ აიღებდა, ვერც თამაშის წინა და ვერც თამაშის დღეს ბილეთს ვერ შეიძენდა. სამართალდამრღვევმა ორგანოებმა გაგვაფრთხილეს, რომ დიდი-

გაზეთის დამფუძნებლებმა არიან საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი. "შესაკუთრე" რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.

გაზეთი ხელმძღვანელობის თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციაში დასამუშავებლად წარმოდგენილი წერილები დასახლებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების ხაზსტყის უზრუნველყოფენ ავტორები. დიდებულ დასახლებულ შექცობებზე რედაქცია პასუხს არ აკებს. რედაქციაში შემოსული წერილები არ რეგისტრირდება. დიდებულ ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თამაშის 7 გვერდზე გრცელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.11.96.